საქართველო

ხალგაზრდა ვერიელი

1921

1
ოქტომბერი
სამშაბათი
1991
№112
(11745)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

თბილისი, 28-30 სექტემბერი

მერაბ კოსტავას ეზოში

სამი დღეა, რაც თბილისი და მთელი საქართველოც, კიდევ ერთმა ინფორმაციამ შესძრა — საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით უკვე არაერთხელ გადაიცა ცნობა იმის თაობაზე, რომ საფრთხეშია მერაბ კოსტავას დედის, ქალბატონ ოლგა დემურიაკოსტავას სიცოცხლე, რომელსაც მერაბ კოსტავას ეზოში დაბანაკებული ვაჟა ადამია და მისი შეიარაღებული მომხრეები ემუქრებიან.

ამ ცნობით შეშფოთებულნი ვეწვიეთ ქალბატონ ოლგას. შემდეგ ვესაუბრეთ ამავე ეზოში მცხოვრებ ბატონ ვაჟა ადამიასაც. აი, რა გვითხრეს მათ:

ოლგა დემურია-კოსტავა:

— ნამდვილად გადაჭარბებულია ოფიციალური ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მე ვინმე მავიწროვებს, რომ მძევლად ამიყვანეს, რომ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა და არც ახლა ხდება.

მე შემომთავაზეს, თუ ჩემი სურვილიც იქნებოდა, სხვაგან, უფრო უსაფრთხო ადგილზე გადავსულიყავი. დღემდე ამასვე მირჩევენ ჩემი ახლობლებიც, მაგრამ მე აქედან, მერაბის სახლიდან, არსად წამსვლელბ არა ვარ. სწორედ მერაბ კოსტავას, მის ნათელ სულს არ ეკადრება ის, რაც დღეს მის ეზოში ხდება.

როცა მშვიდობიან ეზოში ჯავშანტრანსპორტიორი დგას, როცა იარაღდები, ეს იარაღი, ცხადია, ვიღაცას უნდა ესროლო... ქართველს უნდა ესროლო... ხალხს უნდა ესროლო... იმ ხალხს, ვინც ასე ერთსულოვნად აირჩია ზვიად გამსახურდია. და ზვიადმაც ეს ხალხი გამოიყენა კანონიერად არჩეული პრეზიდენტის და ხელისუფლების დასაცავად. მეტი რაღა ქნას ზვიად გამსახურდიამ — ევედრება, შევრიგდეთო... არ ვიცი, მეტი რაღა დემოკრატია უნდათ...

ვაჟა ადამია, მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი:

— ჩვენ, ჩვიდმეტი დეპუტატი, მერაბ კოსტავას საზოგადოებიდან და დანარჩენებიც, რომლებმაც დავტოვეთ სესია, ვიმყოფებით ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე. ყოველივე ეს გვაიძულებს ეზოში გვყავდეს საბრძოლო ტექნიკა, რათა თავდამსხმელთაგან ვიხსნათ თავი.

ტელევიზიით გადაიცა დეზინფორმაცია, რომ ჩვენ დავიყავეთ მერაბ კოსტავას ეზო და აქაურ მოსახლეობას ვავიწროვებთ. მაგრამ ამ ინფორმაციის გავრცელებისას არავინ არ იხსენიებს იმას, რომ მე თვითონ ამ ეზოში დავიბადე და 41 წელია აქვე ვცხოვრობ. რაც შეეხება ქალბატონ ოლიკოს მძევლად აყვანას, ეს აბსურდია. პრეზიდენტმა, რომელიც კარგად იცნობს ამ ეზოს და მის მოსახლეობას, იცის, რომ მერაბ კოსტავას დედას არც პატიმრობაში აიყვანს ვინმე და არც არავინ შეურაცხყოფს. აქ სისტემატურად მოდიან (და ამჟამადაც აქ არიან) ქალბატონი ოლიკოს ნათესავები.

სხვათა შორის, ჩვენთან მოდის სხვადასხვა დელეგაცია. ბევრი მტრულად განწყობილიც, და როცა რწმუნდებიან, რომ ჩვენ არავის არ ვავიწროვებთ და მითუმეტეს, ქალბატონ ოლიკოს, დამშვიდებულნი ბრუნდებიან უკან.

მაგრამ დიდია პროვოკაციის საშიშროებაც, წინასწარგანზრახული აქციები. და ჩვენ ამისთვისაც მზად ვართ, მაგრამ ჩვენი მთავარი იარაღია სიმართლე.

ერთი რამაცაა მნიშვნელოვანი: ჩვენ არ მოვითხოვთ პრეზიდენტის გადადგომას, რადგან ვითვალისწინებთ ქართველი ხალხის იმ ნაწილის ინტერესებს, ვინც ფანატიკურად არის შეყვარებული პრეზიდენტზე და ამ საკითხში ქართველი ხალხის დაპირისპირება შექმნიდა სამოქალაქო ომის საფრთხეს. ამიტომ მოვითხოვთ არა პრეზიდენტის გადადგომას, არამედ მისი უფლებების შეზღუდვას.

ჩვენთან საშუამავლო მისიით იყო ბატონი თემურ ქორიძე. მას წავუყენეთ ჩვენი მოთხოვნები და ვუთხარით, რომ თუ ამ მოთხოვნებს შეასრულებენ, ჩვენი საზოგადოება კისრულობს შუამავლის როლს და არსებული სიტუაცია ხუთი დღის განმავლობაში დარეგულირდება.

ტელევიზიასთან

უკვე მეზუთე დღეა, ტელევიზიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გამორთულია სინათლე — თითქოს თბილისელებს ბარიკადები, იარაღასხმული გვარდიელები თუ არაგვარდიელები არ ყოფნიდეთ...

დღე პარალიზებულია, ღამე — კოშმარული. არის ვერსია, რომ „თელასის“ შენობა აღებული აქვს ოპოზიციას, უფრო სწორად შეიარაღებულ ოპოზიციას და მოსახლეობას განგებ არ აწვდიან სინათლეს. 30 სექტემბერს სწორედ ამის გასარკვევად მივმართეთ საბურთალოს რაიონის „თელასის“ უფროსს ბატონ ნოდარ ასლამაძეს. აი რა გვითხრა მან:

ჩვენი რაიონის „თელასი“ დაბალ ძაბვას ემსახურება, ესე იგი ქვესადგურებიდან ბინებს აწვდის ელექტროენერგიას. მაღალ ძაბვას ქალაქის „თელასი“ ემსახურება და სწორედ იქ არის დაზიანება. როდის აღდგება, რა სამუშაოები ტარდება მდგომარეობის გამოსასწორებლად, შემთხვევით გამოირთო სინათლე თუ ვინმემ საგანგებოდ დააზიანა, ამაზე მე ვერაფერს გეტყვით, ქალაქს მიმართეთო. ქალაქის „თელასში“ კი გვიპასუხეს, რომ ყველაფერი რიგზეა და მოსახლეობა წუთი წუთზე მიიღებს დენსო...

29 სექტემბერს, ღამით, ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორია და საერთოდ საბურთალოს მთელი რაიონი გამაყრუებელმა აფეთქების ხმამ შესძრა. ამას მოჰყვა გამუდმებული სროლა, რომელიც გამთენიამდე არ შწყვეტილა.

გთავაზობთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას** განცხადებას 29 სექტემბრის ინციდენტის თაობაზე:

„რამდენიმე საათის წინ პუტჩისტებმა ააფეთქეს ბომბი ტელევიზიის შენობასთან, რომელიც მათ მიერვეა უკანონოდ დაკავებული.

სამწუხაროდ, არიან დაზარალებულნი, როგორც ტელევიზიის შენობასთან, აგრეთვე, მახლობელ შენობასთან.

ამასთან, ცირკის შენობიდან მათ ზარბაზნიდან ესროლეს კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ყოფილი აგრომრეწვის შენობას), დაზიანდა ერთი ოთახი, ნაპოვნია ჭურვის ნარჩენები.

ეს შემთხვევა მოწმობს, რომ ოპოზიციური ძალები, რომლებიც გაუწვრთნელნი არიან სამხედრო თვალსაზრისით, კიდევ უფრო საშიში ხდებიან არა მარტო საკუთარი თავისათვის, არამედ თბილისის უდანაშაულო მოსახლეობისათვისაც.

ეს სამწუხარო შემთხვევა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს საშიშ დაპირისპირებას, ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს კონფრონტაცია.

ჩვენ არ დავსჯით დამნაშავეებს, თუ ისინი მშვიდობიანად დაიშლებიან, იარაღს ჩააბარებენ და სახლებს მიაშურებენ, ჩვენ მათ ხელშეუხებლობას ვპირდებით და ვთხოვთ, იცხოვრონ როგორც ქართველებმა და პატიოსანმა მოქალაქეებმა.

მათი დაშლისთანავე მთავრობა შეწყვეტს საგანგებო მდგომარეობას და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ჩვენი ხალხი დაუბრუნდეს მშვიდობიან ცხოვრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას“.

30 სექტემბერს ჩვენ შევხვდით ოპოზიციის წარმომადგენლებს.

თენგიზ კიტოვანი: დაახლოებით საღამოს 10-ის ნახევარზე ოპოზიცია მეორე არხით ეთერში გავიდა: მომიტინგეები ტელევიზორის წინ მოგროვდნენ. სულ რამდენიმე წუთში, ხალხისაგან ასოდე მეტრში, აფეთქდა სტინგერის ტიპის ორი რაკეტა. ჩამოთმსხვრა ტელევიზიისა და მოპირდაპირე შენობის მინები, დაზიანდა ავტობუსი, ფეხში დაიჭრა მოპირდაპირე შენობაში აივანზე მდგომი ახალგაზრდა კაცი. როგორც გაირკვა, ისროლეს ყოფილი აგრომრეწვის შენობიდან. ამის შემდეგ ჩვენმა ბიჭებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს. გვესროდნენ ისინიც. დღეს დილით კი ინფორმაციამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა... თურმე, ჩვენს მოწინააღმდეგეებს სტინგერის ტიპის რაკეტა სულ შემთხვევით გავარდნიათ...

ყოფილი აგრომრეწვის შენობასთან

აქ დილაადრიან შეიკრიბნენ ადამიანები. ვინ ისროლა პირველმა? — აი, ძირითადი კითხვა, რომელზედაც პასუხს ისინი ერთმანეთს თხოვდნენ. შენობის მინები აქაც ჩამსხვრეულია. ახალგაზრდა გვარდიელმა შუაზე გადამტვრეულ ნაძვის ხეზე მიგვითითა — ესეც წუხანდელი ღამის „მსხვერპლიაო“...

საკუთარი ინფორმაცია

P. S. გუშინ, დღის სამ საათზე, მთავრობის სახლთან გაიმართა ხალხმრავალი საინფორმაციო მიტინგი, რომლის შემდეგ მომიტინგეები გაემართნენ უნივერსიტეტისაკენ.

ზურაბ ქავთარაძის ფოტო.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა:

ბესიკ თენგიზის ძე ჯუთათელაძე ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტის მოადგილედ.

გიორგი ნოდარის ძე სირბილაძე ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

ეს დღე ქვეყანა

ჩვენი ანბანოლოგიური ანალიზი

დაბინძარსამებრ, აბეკერად, ჩვენ გავაანალიზეთ ბასელ ბამთა (21.IX) გამოქვეყნებული პროგ. ოთხს სხვადასხვა ... ...

თბილისის უმაღლესი ლინგვისტური კოლეჯი (ინსტიტუტი)

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: ინგლისური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, ესპანური ენა და ლიტერატურა, იტალიური ენა და ლიტერატურა, ივრითი.

ძირითად უცხო ენასთან ერთად სტუდენტები შეისწავლიან მეორე უცხო ენას.

სწავლების ხანგრძლივობა 5 წელია. სწავლის პროცესის მაღალ დონეზე წარსამართავად მოწვეულნი არიან ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ დიპლომს საუნივერსიტეტო სპეციალობით (2004 — რომანულ-გერმანიკული ენები და ლიტერატურა ან 2005 — აღმოსავლური ენები და ლიტერატურა): ფილოლოგი (ორი უცხო ენის ჩვენებით).

უმაღლეს სასწავლებელს მჭიდრო კავშირი ექნება უცხოეთის უნივერსიტეტებთან (სტუდენტთა გაცვლა, პრაქტიკის საზღვარგარეთ გავლა და ა. შ.).

უმაღლესი კოლეჯი (ინსტიტუტი) სრულ სამეურნეო ანგარიშზეა. სტუდენტის მომზადება წელიწადში 6000 მანეთი ჯდება.

აბიტურიენტები გადიან გასაუბრებას სათანადო სპეციალობაში.

აბიტურიენტებმა განცხადება უნდა შემოიტანონ რექტორის სახელზე ერთიანი ფორმით, შემდეგი საბუთების დართვით: ატესტატი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 6 ფოტოსურათი (3X4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 40 მანეთი (გასაუბრების ჩასატარებელი სამეურნეო ხარჯებისათვის). შემსვლელნი პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას პირადად წარმოადგენენ.

საბუთები მიიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 15 ოქტომბრამდე, 15 საათიდან 18 საათამდე. სწავლა დაიწყება 21 ოქტომბერს.

ჩარიცხვა მოხდება მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით.

მისამართი: ქ. თბილისი, ბევრეთის (ყოფილი ნარიმანოვის) ქ. № 8, № 65 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. ტელეფონები: 72-44-44, 72-35-50. ტრანსპორტი: ავტობუსი — № 16, 23, 39, 152, 167, 169. სამარშრუტო ტაქსი — № 10, 48 და ტროლეიბუსი № 7.

ᲕᲘᲓᲘ

1. გადახურვის ფილებს (ხიმკარს) 6 მX1,5 მ.
2. ცოკოლის ბლოკებს 2,4X0,9X0,4 მ.
3. მავთულის ბადეს რკინის ჩარჩოში 2,5X1,5 მ.
4. მზა ალუმინის კარებს.
5. რეზინის ხელსათმანებს.

ტელეფონი: 34-78-55 სამს. 62-30-56 სახლი.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲡ“ „ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡ-ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ“ ᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲗᲐ ᲡᲐᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ:

კომერციული მაღაზია „ნანა“ გთავაზობთ „ექსპრეს-ბიზნესი 200“ და „ექსპრეს-ბიზნესი 50“-ის აქციებს. თქვენ არ დაგჭირდებათ აქციის გასაღებაზე ზრუნვა, აქციის გასაღების მოვალეობას ჩვენ თვითონ შევასრულებთ, აქციის ღირებულებაა: „ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡ-ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ 200“ — 200 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲓᲐ „ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡ-ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ-50“ — 50 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

მომსახურებისათვის 50 მან. გადახდილი 200 მან. ან 50 მან. ერთ კვირაში გიბრუნდებათ და თქვენ ხდებით დიდი თანხის მფლობელი მოკლე დროში.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: კომერციული მაღაზია „ნანა“, თბილისი, ლენინგრადის I ჩიხი, № 5. მუშაობს 10.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე. ტელეფონი: 98-88-05, (თან იქონიეთ პასპორტი).

ვცვლი დიდ დიღომში 4-ოთახიან, სარდაფიან, კეთილმოწყობილ, გარემონტებულ ბინას ქალაქის ცენტრში (დიდუბე, ვერა, ვაკე, აღმაშენებლის გამზირი, საბურთალო), ასევე კეთილმოწყობილ 1 და 2-ოთახიან ბინაზე. ტელეფონი — 95-71-76.

ᲚᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ ᲠᲒᲝ

გვერდის ხელმძღვანელები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ᲚᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ“ და ამავე ასოციაციის ფირმა „ᲠᲒᲝ“.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ

— წიგნებისა და ჟურნალების —
— გაზეთებისა და ბროშურების —
— რეკლამებისა და ბლანკების —
— აფიშებისა და ეტიკეტების —
— სავიზიტო ბარათების —

აწყობა-დაკაბადონებას კომპიუტერული ტექნიკით.

თქვენ შემოგთავაზებენ ქართული, რუსული და ლათინური შრიფტების ფართო არჩევანს.
მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მაქსიმალურად გაითვალისწინებენ თქვენს სურვილებს და დათქმულ ვადაში შეასრულებენ დაკვეთას.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲜᲗ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲡ!

ჩვენი მისამართია: თბილისი, წერეთლის 130, ტელ: 35-26-44; 34-05-14.

ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

სამედიცინო კოოპერატივი „დასტაქარი“ გთავაზობთ ორსულობის დადგენას საწყის ეტაპზე.

მხოლოდ ჩვენთან, კოოპერატივ „დასტაქარში“, შარდის ჩაბარებიდან 4 საათში შეგიძლიათ მიიღოთ უტყუარი პასუხი. დიაგნოსტიკა ხორციელდება იმუნოფერმენტული „...“-ზით, საერთაშორისო კლასის პრეპარატების გამოყენებით. მეთოდის მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიურობა საშუალებას იძლევა ფეხმძიმ-ობა დადგინდეს იმ ეტაპზე, როცა სხვა ტესტებით მისი დადგენა შეუძლებელია.

გარდა ამისა ლაბორატორია გთავაზობთ ტოქსოპლაზმოზის, ციტომეგალოვირუსული ინფექციის, ქლამიზიდის, წითურას და სხვათა დიაგნოსტიკას. აღნიშნული ინფექციათა გამომწვევები, გადადიან რა დედიდან მუცლადყოფნაზე, ხშირად იწვევენ თავისთავად აბორტებს, უშვილობას და ახალშობილთა განვითარების სხვადასხვა მანკს.

ჩვენი მისამართია: ᲕᲐᲟᲒ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ 27, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲑᲐᲚᲜᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

კოოპერატივი „დასტაქარი“
სამუშაო საათები: 10-დან 19 სთ-მდე, შაბათს 12 სთ-მდე,
დასვენების დღე კვირა.
ტელ: 39-57-63

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ იაპონური წარმოების ახლების გადამღები მანქანა „რიკონი-5560“, რემკომპლექტით 800000 ეგზემპლიარზე.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ავრეთვე 1025-1038 ახლების გადამღები მანქანის რემკომპლექტი.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ 96-14-39 საღამოს 19⁰⁰ სთ-ის შემდეგ.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ავღანური მწვერის ლეკვები.

დარეკეთ საღამოს საათებში

ტელ.: 23-08-92

ᲤᲘᲠᲛᲐ "Მ Ა Გ Ი " ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ:

საგარაკო ავეჯის კომპლექტს, თანამედროვე დიზაინით, სხვადასხვა ფერში შესრულებულ მსუბუქი კონსტრუქციის მაგიდებს, სკამებს, საკარძლებს, საწოლებს, ჟურნალის მაგიდებს, საკაბინეტო და ოფისის ავეჯს შინ მიტანით.

მისამართი: ᲥᲘᲜᲫᲛᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ Ქ. №15

ტელ. 71-92-53

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ გთავაზობთ!

საბჭოთა მანქანებისთვის გატაცების საწინააღმდეგო უნივერსალურ მოწყობილობას (სიგნალიზაციას). შეუძლია შეისყიდოს როგორც კერძო პირებს, ასევე ორგანიზაციებს ნაღდ ანგარიშზე ან გადარიცხვით.

მოგვმართეთ მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. №1

ტელეფონი: 37 06-84, 47-58-26

ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲙᲐᲠᲚᲔᲜᲐᲮᲘ“ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ

თუ გსურთ შეიძინოთ ჩამოსასხმელი კახური ღვინო და ჭაჭის არაყი, მიმართეთ სულხანიშვილის ქუჩაზე (დახურული ბაზრის ტერიტორიაზე) მდებარე საფირმო მაღაზია **„ᲙᲐᲠᲚᲔᲜᲐᲮᲘ“**, რომელიც ღიაა დილის 10^{00} საათიდან საღამოს 20^{00} საათამდე, შესვენებისა და გამოსასვლელი დღეების გარეშე.

ᲮᲐᲚᲮᲝᲒᲠᲫᲐ ᲕᲔᲠᲘᲔᲚᲘ

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲐᲚᲐᲠᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „ᲮᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲑᲐ“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში სოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
ᲜᲐᲨ ᲘᲜᲓᲔᲥᲡ 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.